

**სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“
საწარმოო პრაქტიკის გავლის დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საწარმოო პრაქტიკა პროფესიული განათლების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. იგი შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შექმნილი კომპეტენციები, კიდევ უფრო დახვეწოს და განივითაროს პროფესიული უნარ-ჩვევები.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და მეთოდურ საკითხებს.

მუხლი 2. პრაქტიკის მნიშვნელობა, მიზანი და ამოცანები

1. პრაქტიკის მიზანია პროფესიულ სტუდენტში განავითაროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მათ ადაპტაციას.
2. პრაქტიკის შინაარსი განისაზღვრება პრაქტიკის პროგრამით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:
 - ა) პრაქტიკის ადგილი და პრაქტიკის გავლის თანმიმდევრობა დროის ფორმატში;
 - ბ) პრაქტიკის კონტროლის სახეები;
3. პრაქტიკის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ (შემდგომში - კოლეჯი) ახორციელებს შემდეგ საფეხურებს:
 - ა) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება პროფილურ საწარმოებთან/ორგანიზაციებთან;
 - ბ) სტუდენტის პრაქტიკის წარმართვა წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული შესაბამისი საგნის სილაბუსისა და ჩარჩო დოკუმენტის გათვალისწინებით;
 - გ) საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესში ნებისმიერი ინციდენტის მხარდაჭერა, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტის პროფესიულ დახელოვნებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

მუხლი 3. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპები

1. საწარმოო პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კოლეჯსა და საწარმოო პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე.
2. ორგანიზაციასთან პირადი შეთანხმების საფუძველზე, ორგანიზაციის ხელმძღვანელი და კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი აწარმოებენ მოლაპარაკებას, პროფესიული სტუდენტისათვის საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველსაყოფად შესაბამისი პირობების შექმნის მზადყოფნასთან დაკავშირებით.
3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მხარეები ადასტურებენ პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების საქმეში თანამშრომლობის სურვილს და აღნიშნულის განსახორციელებლად და ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყოფენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტების სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის ჩატარების ხელშეწყობას.
4. საწარმოო პრაქტიკის ობიექტის წინასწარ შერჩევა ხორციელდება საწარმოო პრაქტიკის პროფესიული განათლების მასწავლებლის, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერისა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის წინასწარი მოკვლევისა და ვიზუალური დათვლიერების საფუძველზე. ამასთან, საწარმოო პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
 - ა) უზრუნველყოფდეს შესაბამის საგნის/სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს;
 - ბ) უზრუნველყოფდეს პროფესიულ სტუდენტებისთვის ადეკვატურ, უსაფრთხო და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარემოს.
5. საწარმოო პრაქტიკას წინ უძღვის პროფესიულ სტუდენტების ინფორმირება. პრაქტიკამდე კოლეჯი აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს თავიანთი უფლება-მოვალეობების შესახებ. კერძოდ:
 - ა) უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ;
 - ბ) პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ;
 - გ) დღიურის წარმოების წესის შესახებ (ხელნაწერის სახით);
 - დ) პრაქტიკის საბოლოო შეფასების შესახებ.
6. საწარმოო პრაქტიკას ახორციელებს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი გაფორმებული ხელშეკრულების, ამ დებულებისა და შესაბამისი საგნის სილაბუსისა და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და უზრუნველყოფს:
 - ა) პროფესიული სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის შესასრულებლად საჭირო პირობების შექმნას და გაცნობას;
 - ბ) საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას, პროფესიულ სტუდენტთა ყოველდღიურ ხელმძღვანელობას და საწარმოო პრაქტიკის პროგრამის შესრულების კონტროლის განხორციელებას.

მუხლი 4. ბრძანების მომზადება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადამწიგნობის შესახებ

1. ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადამწიგნობის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის მიერ, საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე.
2. ბრძანებაში ასახული უნდა იყოს საწარმოო პრაქტიკის დაწყების თარიღი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, ჯგუფის ნომერი და პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სია.
3. საჭიროების შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკაზე განაწილება კოლეჯი უფლებამოსილია გადაიტანოს საწარმოო პრაქტიკა დაგეგმილი პერიოდიდან მას შემდეგ ათი დღით.
4. პროფესიული სტუდენტის მხრიდან ინციდენტის შემთხვევაში, შესაძლებელია, კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმდეს შესაბამისი ინდივიდუალური მემორანდუმი.

მუხლი 5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ)

პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება

1. სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით.
2. საწარმოო პრაქტიკამდე ერთი თვით ადრე მიზანშეწონილია განხორციელდეს პრაქტიკის ობიექტის სასწავლო გარემოს შეფასება.

მუხლი 6. საწარმოო პრაქტიკის სწავლის შედეგების შეფასება

1. საწარმოო პრაქტიკის სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი დასკვნითი გამოცდის/შედეგის დადასტურების საფუძველზე.
2. პროფესიულ სტუდენტს აძლევს განმარტებას შეფასებასთან დაკავშირებით.
3. ადასტურებს შეფასების შედეგებს ხელმოწერით.
4. შეფასების ჩანაწერებს გადასცემს საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს.
5. პირადად აკვირდება პრაქტიკული დავალებების შესრულების პროცესს.
6. თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის აწარმოებს შეფასების ჩანაწერების ფორმებს.
7. აჯამებს შეფასების შედეგებს.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტების ინფორმირება მოიცავს

1. საწარმოო პრაქტიკის დღეების ხანგრძლივობასა და დღის განმავლობაში პრაქტიკის საათების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას.
2. სავარაუდო განაწილების შესახებ ინფორმაციას საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიული სტუდენტებისა და საწარმოო პრაქტიკის პროფესიული განათლების მასწავლებლის ერთობლივი შეთანხმებით.
3. პროფესიული სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის შეფასების გაცნობასა და პრაქტიკის დღიურების გადაცემას.
4. უსაფრთხოების წესებზე ხელმოწერის ორგანიზებას.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტი პრაქტიკის გავლის დროს ვალდებულია

1. გაიაროს საწარმოო პრაქტიკა განსაზღვრულ ვადებში.
2. დროულად, ზუსტად და სრულად შეასრულოს საწარმოო პრაქტიკის პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გაცემული დავალებები.
3. ზუსტად დაიცვას ორგანიზაციის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.
4. დაიცვას პრაქტიკის დაწესებულების სამუშაო რეჟიმი.
5. აწარმოოს საწარმოო პრაქტიკის დღიური.
6. საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ დროულად წარუდგინოს საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს დასრულებული და სათანადო სახით გაფორმებული დღიური.
7. საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ ტარდება დასკვნითი გამოცდა/შედეგი ტესტირების, ზეპირი გამოკითხვის, პრეზენტაციის, ბიზნეს გეგმის შედგენის ან ჩეკლისტის სახით.

მუხლი 9. საწარმოო პრაქტიკის შეფასება

1. საწარმოო პრაქტიკის დაცვაზე პროფესიულ სტუდენტის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც მის თეორიულ ცოდნას, ისე პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.
2. საწარმოო პრაქტიკის შეუსრულებლობისათვის და უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი განმეორებით იგზავნება საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე ერთჯერადად.
3. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება ქულათა სისტემით და მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა, ხოლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის მოდულით და პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია იხელმძღვანელოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციებით.

მუხლი 10. პრაქტიკის დღიურის შეფასება

1. პრაქტიკის დღიურს პროფესიული სტუდენტი აწარმოებს ყოველკვირეულად, ხოლო მის შეფასებას ახდენს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელი დღიურის წარმოებას აფასებს პრაქტიკის კვირეული დატვირთვისა და პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზის მიხედვით.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი აწვდის ინფორმაციას საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს პროფესიული სტუდენტის მიერ დღიურის წარმოებისა და პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.
4. საწარმოო პრაქტიკის დღიური ითვალისწინებს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების კალენდარული გეგმის წარმოებას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოების დეტალურ აღწერას და აგრეთვე კომპეტენციების განვითარების ცხრილს, სადაც პროფესიული სტუდენტი თავისი შეხედულებისამებრ შეიტანს ჩანაწერებს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი კომპეტენციების განვითარებაში დაეხმარა მას საწარმოო პრაქტიკის დროს შესრულებული ესა თუ ის სამუშაო.
5. საწარმოო პრაქტიკის დღიური დამოწმებულია კოლეჯის დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა დამოწმებული იყოს პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით.